

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

ტექნიკური განვითარების საბჭოს

დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში „მაუწყებელი“) ტექნიკური განვითარების საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.

საბჭო წარმოადგენს მაუწყებლის კოლეგიალურ ორგანოს.

მუხლი 3.

საბჭო თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე.

მუხლი 4.

საბჭო თავისი ფუნქციების და ამოცანების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დებულებით და წინამდებარე წესებით.

თავი II

საბჭოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 5

საბჭოს საქმიანობის მიზანია მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა მუდმივად ვითარდებოდეს მისი საჭიროებების შესაბამისად

მუხლი 6

საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

- 6.1. ტექნიკური განვითარების მიმართულებით მომზადებული გეგმებისა განხილვა და შერჩევა;
- 6.2. ტექნიკური განვითარების მიმართულებით მომზადებული ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება;
- 6.3. ტექნიკური მიმართულებით წარმოქმნილი პრობლემური საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება

მუხლი 7

დასახული ამოცანების შესრულებისას საბჭო უფლებამოსილია:

- 7.1. უზრუნველყოს ტექნიკური განვითარების მიმართულებით მომზადებული გეგმების განხილვა/შერჩევა;
- 7.2. უზრუნველყოს გეგმების მიხედვით გამოვლენილი ალტერნატივების განხილვა, ხარჯეფექტურობის ანალიზი და საუკეთესო ალტერნატივების შერჩევა;
- 7.3. უზრუნველყოს ტექნიკური განვითარების მიმართულებით წლიური ბიუჯეტის განხილვა/შეფასება;
- 7.4. უზრუნველყოს ტექნიკური განვითარების საუკეთესო ალტერნატივებზე წარმოდგენილი პროექტების განხილვა, ხარჯეფექტურობის ანალიზი და შერჩევა;
- 7.5. უზრუნველყოს ტექნიკური განვითარების პროექტების მიმდინარეობის შესახებ პერიოდული ანგარიშების მოსმენა და განხილვა;
- 7.6. უზრუნველყოს ტექნიკური განვითარების პროექტების ვადების განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
- 7.7. უზრუნველყოს მიმდინარე საქმიანობაში ტექნიკური მიმართულებით წარმოქმნილი საორგანიზაციო საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება;
- 7.8. უზრუნველყოს ტექნიკური განვითარების ბიუჯეტის შესრულების პერიოდული ანგარიშების მოსმენა, გადახრების გამოვლენა და კორექტირების გადაწყვეტილებების მიღება;
- 7.9. საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და აღსრულების მონიტორინგი.

თავი III

საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 8

- 8.1. საბჭო შემადგენლობა განსაზღვრულია მაუწყებლის დებულების 3.6. მუხლის „გ“ პუნქტით;
- 8.2. საბჭოზე გადაწყვეტილების მისაღებად ხმის უფლებით სარგებლობენ: მაუწყებლის დირექტორი; დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში; მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსი; სტუდიებისა და მსს უფროსი; სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი; რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი; ახალი ამბების სამსახურის უფროსი; საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის უფროსი; მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი; ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის უფროსი;
- 8.3. საბჭოში მუდმივ ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება საქმიანობაში ჩაერთონ მაუწყებელში დასაქმებული სხვა პირები;
- 8.4. საბჭოს სხდომა როგორც წესი ღიაა, მაუწყებელში დასაქმებული პირებისათვის. სხდომა შეიძლება დახურულად გამოცხადდეს დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით;

მუხლი 9

- 9.1. საბჭო იკრიბება კვარტალში ერთხელ და საჭიროებისამებრ. საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს თავმჯდომარე;
- 9.2. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ორი მესამედი მაინც;
- 9.3. საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე დამსწრე პირთა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღოს რეკომენდაციები, რომელიც სავალდებულოს შესასრულებელია მაუწყებელში დასაქმებული ყველა პირისათვის;
- 9.4. საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში;
- 9.5. საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს მდივანს, რომელიც უზრუნველყოს ორგანიზაციული ხასიათის საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, მმართველი საბჭოს შეხვედრების საოქმო ჩანაწერების წარმოებას;
- 9.6. საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვასა და დაცვას უზრუნველყოფს საკადრო ბაზების განვითარების სამსახურს;

თავი IV

დასკვნითი დებულება

მუხლი 10

საბჭოს დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.